DOI.org/10.52340/PUTK.2024.28.20

იერუსალიმთან იმერეთის სამეფოს ურთიერთობის ისტორიისათვის

FOR THE HISTORY OF THE RELATIONSHIP BETWEEN THE KINGDOM OF IMERETI AND JERUSALEM

ციური ქათამაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

Tsiuri Katamadze
Batumi Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia

ABSTRACT

In the early decades of the 16th century, Jerusalem's Christian holy sites, including Georgian churches and monasteries, came under the control of the Ottoman Empire. Despite the complicated circumstances, Georgian secular and religious leaders strove to protect and maintain the Georgian cultural heritage in Jerusalem, which held significant importance in terms of religion, culture, education, and politics.

In this work, based on both Georgian and foreign historical sources, the relationship between the Kingdom of Imereti and Jerusalem has been explored. It is revealed that as early as the mid-16th century, the royal court of Imereti allocated a significant portion—'twentieth of the income of the state treasury'—to support the Holy Sepulcher and the Monastery of the Cross in Jerusalem. Subsequently, 'properties belonging to the abbot of Jvari', including estates in Sazano, Ghodora, and Partskhanakanevi, emerged. Additionally, the royal court of Imereti and nobles appealed to the Ottoman sultan to safeguard the rights of Georgians in Jerusalem. They provided financial assistance to Georgian monks and nuns and actively participated in the restoration of Georgian temples that had been destroyed or damaged in Jerusalem. Through these efforts, they contributed significantly to the preservation of Georgian cultural treasures in Jerusalem.

საკვანძო სიტყვები: ქართული ტაძრები იერუსალიმში, იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, იმერეთის სამეფოს ურთიერთობა იერუსალიმთან.
Keywords: Georgian churches in Jerusalem, the Monastery of the Cross in Jerusalem, the relationship between the Kingdom of Imereti and Jerusalem.

შესავალი

„წმინდა მიწასთან" და „წმინდა ქალაქთან" საქართველოს ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია გააჩნია. იქ არსებულმა ქართულმა ეკლესია-მონასტრებმა უდიდესი როლი შეასრულეს როგორც ქართული კულტურის განვითარებაში, ისე საქართველოს საერთაშორისო ცნობადობისა და პრესტიჟის ამაღლებაში. ამიტომ ქართველები ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ იერუსალიმსა და, საერთოდ, სირია-პალესტინაში მოღვაწე ქართველ ბერ-მონაზვნებს. სამონასტრო კრებულებს დიდ მხარდაჭერას უწევდნენ ერთიანი საქართველოს მეფეები, საერო და სასულიერო პირები. საქართველოს პოლიტიკური ძლიერების დაქვეითების შემდეგაც ქართული სამონასტრო თემი ინარჩუნებდა გავლენას „წმინდა მიწაზე" და გარკვეული უპირატესობითაც სარგებლობდა, მაგრამ XVI საუკუნის პირველი ათწლეულებიდან ვითარება შეიცვალა. პალესტინა-იერუსალიმი ოსმალთა ხელთ აღმოჩნდა; ერთიანი ქართული მონარქია სამეფო-სამთავროებად დაიშალა; გააქტიურებას იწყებს ოსმალეთის და მალე ირანის აგრესიაც. ასეთ ვითარებაში იერუსალიმში მოღვაწე ქართულ მონასტრებს გაუჭირდათ; დაიწყო ვალების აღება, იმატა გადასახადებმა, იკლო სამშობლოდან შეწირულობებმა...

შექმნილი რთული ვითარების მიუხედავად, ქართული სამეფო-სამთავროები ცდილობენ შეინარჩუნონ და სამშობლოდან სისტემატური შემოსავალი გაუჩინონ იერუსალიმის ქართულ სამონასტრო თემს უძრავი ქონების შეწირვით (მეტოქი ეკლესიები, ყმა-მამული...).

მეთოდოლოგია

კვლევისას გამოვიყენეთ აღწერის, შედარებისა და ანალიზის მეთოდები. გაანალიზებულია შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა, ქართული და უცხოური საისტორიო წყაროები. კერძოდ, დამუშავებულია როგორც გამოქვეყნებული ისტორიული დოკუმენტები, ისე კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმის ფონდებში დაცული მასალები, რომლებიც საანალიზო საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის.

მსჯელობა

XVI საუკუნის საისტორიო წყაროები ადასტურებენ შეწირულობათა გაღებას და იერუსალიმში ქართველთა ინტერესების დაცვაზე ზრუნვას კახეთისა და ქართლის სამეფოებისაგან. მათ გვერდითაა იმერეთის სამეფოც. საისტორიო წყაროების ცნობით, ჯერ კიდევ XVI საუკუნის შუა ხანებში იმერეთის მეფე კონსტანტინე (?) და დედოფალი თინათინი „ქრისტეს საფლავს, გოლგოთას და ცხოველსმყოფელს ჯვარს" სწირავენ „სამეფო სალაროს შემოსავლის ოცისთავს" (ხეც, ფონდი Qd-1447; ისტორიული დოკუმენტები... 1958: 16-17). სიგელი გაცემულია 1558 წელს. თუმცა ამ დროს იმერეთში ბაგრატ III (1510-1565) მეფობს. შეიძლება „მეფეთ-მეფე კონსტანტინე" იყოს კონსტანტინე ბატონიშვილი, რომელიც ტახტისათვის ებრძოდა უფროს ძმას გიორგი II-ს (1565-1586) და 1583-1587 წლებში ტახტის დაკავება მოახერხა (რეხვიაშვილი 1989: 64-68), მაგრამ სიგელზე დასმული ქორონიკონის (სმვ) გათვალისწინებით შეიძლება ძალიან ფრთხილი ვარაუდის დაშვება, რომ კონსტანტინე ბატონიშვილმა მამის სიცოცხლეშივე

მცირე ხნით დაიკავა ტახტი და ეს სიგელიც მაშინაა გაცემული. ამ ვარაუდს ამყარებს ისიც, რომ სიგელში კონსტანტინე „უძეოდაა“ მოხსენებული. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით კი, კონსტანტინეს ძე როსტომი 1561 წელს დაბადებულა (ვახუშტი 1973: 815). მართალია, ეს შეწირულობანი არ იყო საკმარისი, მაგრამ იერუსალიმის ქართული სამონასტრო თემი XVI საუკუნის მეორე ნახევარშიც ინარჩუნებს „წმინდა ქალაქის“ ბევრ სამლოცველოს, ეკლესია-მონასტრებს და ქართველებიც კვლავ პატივისცემით იხსენიებიან უცხოელ პილიგრიმთა თუ ვაჭართა ჩანაწერებში (ფერაძე 1995: 57-60).

XVI საუკუნის შუა ხანებში ამასიის ზავის შემდეგ დასავლეთ საქართველო ოსმალთა ხელდებული გახდა. მდგომარეობას ართულებდა მეფესა და მთავრებს შორის მუდმივი დაპირისპირება, თუმცა, ქაოსისა და ეკონომიკური სიდუხჭირის მიუხედავად, იმერეთის მეფე და დასავლეთ საქართველოს სხვა ხელისუფალნი ზოგჯერ ახერხებდნენ დაზავებას და შეთანხმებულად გამოდიოდნენ, მათ შორის იერუსალიმში ქართველთა უფლებების დასაცავად. ამის მიღწევა კი უკვე ოსმალეთის სულთნის ნებაზე იყო დამოკიდებული, რადგან ის განაგებდა მის მიერ დაპყრობილი ქრისტიანი ხალხების ყველა საქმეს. თანაც დასავლეთ საქართველოში შესაძლოა იცოდნენ, რომ ოსმალეთი ამასიის ზავის დარღვევას ყველა ხელსაყრელ ვითარებაში შეეცდებოდა და სულთანს ირანის წინააღმდეგ კავკასიის ფრონტზე ქართველ მეფე-მთავართა სამხედრო მხარდაჭერა დაჭირდებოდა. ოსმალური საისტორიო წყაროების ჩვენებით, მურად III-მ (1574-1595) 1577 წლის 14 აპრილს გასცა ბრძანება (აბულაძე 1987: 90-92), საიდანაც ირკვევა, რომ იმერეთის მეფე გიორგი II-მ (1565-1586) და გურიის მთავარმა გიორგი როსტომის ძე გურიელმა (1564-1583; 1587-1600) სულთანთან „კაცი გააგზავნეს... და გვაცნობეს... ქართველთა გვარ-ტომს იერუსალიმში ძველთაგანვე თითო-თითო სალოცავი ადგილი ჰქონდათ. ქართველები მიწყივ მიდიოდნენ და ასე თაობიდან თაობამდე ლოცულობდნენ. ახლა კი ფრანცისკანელებმა და სომხებმა ხსენებული სალოცავი ადგილები ქართველთა მოდგმის ბერებს წაართვეს, ძალმომრეობენ და ავიწროებენო...“ შესაბამისად, სულთნის ბრძანებით სიმართლე უნდა გაერკვიათ და „...თუ ეს სადავო ადგილები ქართველების... ძველთაგან კუთვნილი სალოცავია... კვლავ მათ ალოცინონ, ყველა სხვა შემთხვევაში აუკრძალეთ“. აღნიშნული დოკუმენტი საინტერესოა არა მარტო იმის საჩვენებლად, რომ დაშლილი საქართველოს პოლიტიკური მესვეურები, ამ შემთხვევაში იმერეთის მეფე და გურიის მთავარი, თავიანთ მოვალეობად მიიჩნევენ იზრუნონ ქართული სალოცავების შესანარჩუნებლად, რომელთაც სომხები და ფრანცისკელები ეცილებიან, არამედ იმის დასტურადაც, რომ ხშირად „ხანდაზმული და პატივდებული პირების“ „სიმართლე“ ოქროზე იყიდებოდა, ქრთამის გამღები კი იგივე სომხები და ფრანცისკელები იყვნენ, რომლებიც ოსმალო მოხელეების მოსყიდვით ხელში იგდებდნენ ქართველთა კუთვნილ სალოცავებს იერუსალიმში (აბულაძე 1987: 125). ამავე ფაქტს მეტი დეტალებით ავსებს ახლახან გამოვლენილი ოსმალური დოკუმენტიც (თურქული დოკუმენტები 2022: 98). 1577 წლის 14 აპრილს სულთნის მიერ გაცემული ბრძანება (სავარაუდოდ, ერთი და იგივე დოკუმენტია – ც. ქ.) „იერუსალიმის

სანჯაყ-ბეგსა და ყადის მიმართეს იმერეთის მეფემ და გურიელმა (გორგილ მელიქი), რომ ქართველთა სალოცავებში შეიჭრნენ კათოლიკები და სომხები...“ ამ ცნობებით კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ვლინდება, რომ იერუსალიმის ქართულ სამონასტრო თემს გააფთრებული ბრძოლა უწევდა საკუთარი სალოცავების დასაცავად, რომლის დასაკუთრებას აქტიურად ცდილობენ კათოლიკური, სომხური და, მოგვიანებით, ბერძნული ეკლესიები. ამ დაპირისპირების ამსახველი ფაქტებიც საკმაოდაა შემონახული ქართულ თუ უცხოურ წყაროებში. სულთნის ხელისუფლების ჩარევა ბევრს ვერაფერს შველოდა, რადგან ფინანსურადაც ქართველ ბერ-მონაზვნებს ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდათ ოსმალო მოხელეების სიხარბე დაეკმაყოფილებინათ. მიუხედავად ამისა, არა მარტო დასავლეთ საქართველოს, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს ხელისუფალნიც ცდილობდნენ 1578 წელს ირან-ოსმალეთის ომის გაჩაღებით კავკასიაში შექმნილი ვითარების გამოყენებას იერუსალიმში ქართველთა უფლებების დასაცავად და ეკლესია-მონასტრების შესანარჩუნებლად. ამ მხრივ საინტერესოა კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის (1574/1601-1602/1605) ძალისხმევა, როდესაც მუსტაფა ლალა-ფაშას ამიერკავკასიაში ლაშქრობისას ცდილობს ისარგებლოს ხელსაყრელი სიტუაციით და შირვანზე ლაშქრობის სანაცვლოდ იერუსალიმში ქართველთა უფლებების დაცვას მოითხოვს: 1579 წლის 15 ნოემბერს „სულთნის კარი ატყობინებს... „ლევენდის (ლევანის) შვილს ალექსანდრეს“, რომ არზრუმის ბეგლარბეგს და იერუსალიმის ბეგს ებრძანათ, არ გაუწიონ წინააღმდეგობა იერუსალიმში მოსალოცად მიმავალ ქართველებს (თურქული დოკუმენტები 2022: 105). აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ამ ლაშქრობას და მასში კახეთის სამეფოს მონაწილეობას თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზები ჰქონდა, მაგრამ თვით ფაქტი მნიშვნელოვანია ქართველთა მცდელობისათვის – ყველა შესაძლებლობა გამოეყენებინათ იერუსალიმში ქართული სამონასტრო კრებულის დასაცავად.

ქართველ მეფე-მთავართა, მათ შორის იმერეთის სამეფოს მესვეურთა, ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდა დავალიანებაში მყოფი ქართული ეკლესია-მონასტრების დასახსნელად; ამასთანავე, XVI საუკუნის მეორე ნახევარსა და XVII საუკუნის პირველი ათწლეულებიდან გააქტიურდა იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო, რომელმაც გადაწყვიტა აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ქვეყნებიდან შეეგროვებინათ სახსრები „წმინდა ქალაქის“ ქრისტიანული სალოცავების დასახსნელად თუ აღსადგენად. ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოში საერო და სასულიერო წრეებმა საჭიროდ მიიჩნიეს იერუსალიმის ქართული სამონასტრო თემისათვის სამშობლოში გაეჩინათ სტაბილური შემოსავალი ყმა-მამულის შეწირვით. ასე ყალიბდება და ფართოვდება საქართველოში ე.წ. „საჯვარისმამო საქონებელი“ (მეტოქი ეკლესიები, ყმა-მამული...). ამ პროცესში იმერეთის სამეფოს აქტიურ ჩართულობას ადასტურებს საისტორიო წყაროები. XVII საუკუნის ათიან წლებში იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქი თეოფანე (1608-1644) ჩამოვიდა საქართველოში, სადაც ის შეხვდა და შეწირულობანი მიიღო ქართლ-კახეთის მეფეებისა და სასულიერო პირებისაგან (Селезнев 1847: 11), შემწირველთა

შორის იყო ქუთაისის მიტროპოლიტიც. აღსანიშნავია, რომ პატრიარქის ვიზიტს მამია II გურიელის (1600-1625) კარზე მოჰყვა მეტოქის დაარსება „ქობულეთის ქვეყანაში“ – ჩეხედანაში და ყმა-მამულის შეწირვა ჩეხედანასა და ბაილეთში, რაც მნიშვნელოვანი იყო იერუსალიმთან ურთიერთობისა და იქ მოღვაწე ქართული სამონასტრო კრებულის მხარდასაჭერად (ქათამაძე 2013: 124-169).

იმერეთის სამეფო კარი, ბუნებრივია, აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა ამ პროცესებში და მოგვიანებითაც გააგრძელებდა მხარდაჭერას იერუსალიმის ქართული სამონასტრო თემისადმი, რაც დასტურდება თეოდოსი რევიშვილის – მანგლელი ეპისკოპოსისა და 1625 წელს რუსეთში თეიმურაზ I-ის (1606-1648) ელჩის ჩვენებითაც (Симский 1904: 58). თეოდოსი ამბობს, რომ მან პატრიარქი თეოფანე გააცილა ცარგრადამდე, საიდანაც ის პატრიარქმა უკან დააბრუნა საქართველოში შეწირულობის შესაგროვებლად (იქვე: 66). ქართული საისტორიო წყაროების თანახმადაც, „გოლგოთის არქიმანდრიტს“ ჯვარის მამა თეოდოსის 1619 წელს იმერეთის მეფე გიორგი III-ისგან (1605-1639) მიუღია შეწირულება (ხეც, ფონდი Hd-11273; ისტორიული დოკუმენტები... 1958: 21-22). ამ სიგელით „მეფეთ-მეფე გიორგი და დედოფალთ-დედოფალი თამარი“ „ცხოველსმყოფელ ჯვარს და წმინდასა გოლგოთას“ „„მიართმევენ“ სოფელ საზანოში 3 კომლ გლეხს თავისი ბეგრით და განაახლებენ ადრე „სამეფო სალაროს შემოსავლის ოცისთავის“ შეწირულებას. მოგვიანებით ამ შეწირულობის გაღების საფუძველზე იმერეთის მეფის ღვაწლი აისახა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სააღაპე წიგნშიც და უკვე ნიკოლოზ (ნიკიფორე) ჩოლოყაშვილის წინამძღვრობის დროს (1643-1649) „მეფე გიორგის და დედოფალ თამარს გაუჩინეს აღაპი და მოსახსენებელი, დაუკიდეს კანდელი“ (მეტრეველი 1962: 83, 130).

იმერეთის სამეფო კარის კვალდაკვალ იერუსალიმის ქართული სამონასტრო თემის მხარდასაჭერად აქტიურად გამოდიან ფეოდალური წრის სხვა წარმომადგენლებიც. აღსანიშნავია წულუკიძეების საგვარეულოს დამსახურება, კერძოდ, ქაიხოსრო და პაატა წულუკიძეების ღვაწლი იმდენად შთამბეჭდავი ყოფილა, რომ იერუსალიმის ქართულმა სამონასტრო კრებულმა აღაპი დაუწესა ქაიხოსრო წულუკიძეს, დახატეს ჯვრის მონასტერში და ჩაუქრობელი სანთელიც აუნთეს. ასევე, კანდელი დაუკიდეს და მოსახსენებელი გაუჩინეს ქრისტეს საფლავსა და გოლგოთაშიც (მეტრეველი 1962: 88,144-145). ამ მხატვრობის შესახებ მიუთითებს ტიმოთეც (გაბაშვილი 1956: 81-82). ასევე, პაატა წულუკიძესაც. როგორც ქაიხოსრო წულუკიძის აღაპიდან ირკვევა, მას „ქრისტეს საფლავთან წმინდა ნიკოლოზის საყდარი სამოცი სახლით აუშენებია, დაიხსნა წისქვილი და ვენახი...“ (მეტრეველი 1962: 88). რაც შეეხება ტაძრის მშენებლობას, უნდა აღინიშნოს, რომ „ახალი ეკლესია-მონასტრების აშენება წმ. მიწაზე ისლამური სამართლით დაუშვებელი იყო, შეიძლებოდა აღდგენა-განახლება. ამიტომ სიფრთხილეა საჭირო ქართული წყაროების იმ ცნობების მიმართ, სადაც საუბარია ასეთ მშენებლობებზე (ჯაფარიძე 2018: 126). ბუნებრივია, ეს ეხება ქაიხოსრო წულუკიძის აღაპსაც (მეტრეველი 1962: 88. აღაპი 99, კომენტარი 144). ეკლესია-მონასტრის აღდგენისა თუ განახლებისას „არსებობდა გარკვეული პროცედურა: ადგილობრივი გამგებლისა და მოსამართლის

(ყადის) ნებართვა და აღდგენის პროცესში მუსლიმი ხუროთმოძღვრის დასწრება, რათა ადრე არსებულ შენობაში რაიმე სიახლე არ ყოფილიყო შეტანილი“ (ჯაფარიძე 2018: 126). ამას ადასტურებს მამლუქი სულთნებისა და ოსმალო მოხელეების განკარგულებები. ასე რომ, ქაიხოსრო წულუკიძეს განუახლებია წმ. ნიკოლოზის საყდარი, სახლები და წისქვილი, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ქართული სამონასტრო თემისათვის და სათანადოდ აისახა კიდეც აღაპებსა და ჯვრის მონასტრის მხატვრობაში. ქაიხოსრო და პაატა წულუკიძეები გიორგი III-სა (1605-1639) და ლევან II-ის დადიანის (1611-1657) თანამედროვეები უნდა ყოფილიყვნენ.

აღსანიშნავია, რომ იერუსალიმში წმ. ნიკოლოზის ორი ტაძარი იყო: ერთი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ახლოს და მეორე წმ. ნიკოლოზის მონასტერი ძველი იერუსალიმის ქრისტიანულ უბანში, ამჟამად ეკუთვნის ბერძნულ საპატრიარქოს. ის ყველაზე ადრე იხსენიება XII საუკუნის ბოლოს აღდგომის ტაძრის აღმოსავლეთით. როგორც ჩანს, წმ. ნიკოლოზის მონასტერი საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმყოფებოდა ქართველთა მფლობელობაში. სხვადასხვა წყაროს ცნობით, ტაძარი ჯერ კიდევ XIII საუკუნიდან მაინც ქართველთა ხელში იყო (ჯაფარიძე 2018: 102-103). XIV-XV საუკუნეების არაბულენოვანი დოკუმენტებიც მის (არაბ. დაირ სანიქულ) ქართველთა ხელში ყოფნას ადასტურებს (ქართული ქრისტიანული თემი... 2022: 77). მიუხედავად იმისა, რომ 1517 წელს სელიმ I-ის (1512-1520) ფირმანით წმ. ნიკოლოზის მონასტერი მელქიტ პატრიარქს გადაეცა, ჩანს, რომ ქართველები მაინც ინარჩუნებდნენ მას XVII საუკუნეშიც. თუმცა სომხური ეკლესიაც ცდილობდა ესარგებლა ქართველთა გაჭირვებით და შეესყიდა ის. საბოლოოდ წმ. ნიკოლოზის მონასტერი სხვა ქართულ მონასტრებთან ერთად პატრიარქ დოსითეოს II-ის (1669-1707) მცდელობით 1685 წელს იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ხელში გადავიდა. მასში შემორჩენილია ქართული წარწერები (ქართული ქრისტიანული თემი... 2022: 77-80). წულუკიძეების მიერ, როგორც ჩანს, განახლებულია ჯვრის მონასტრის სიახლოვეს არსებული მეტოქი – წმ. ნიკოლოზის ტაძარი. 1883 წელს ალ. ცაგარელს აქ მხოლოდ ნანგრევები დახვდა. მასალის სიმწირის გამო უცნობია ტაძრის დაარსების, ზუსტი ადგილმდებარეობისა და არსებობის შეწყვეტის გარემოებები (იქვე: 159).

ასევე მნიშვნელოვანია იმერეთის კიდევ ერთი ცნობილი საგვარეულოს – აბაშიძეების ძალისხმევა წმ. ქალაქის ქართული სამონასტრო თემის მხარდასაჭერად. იერუსალიმის წმ. აბრაამის ტაძრის სამწირველო 1599 წლის 11 სექტემბერს იოანე აბაშიძის საფასითა და დაკვეთით განუახლებია აზნაურ გიორგი ჩიკოიძეს (ავალიშვილი 1967: 211). მონასტრის მეორე სართულზე შემორჩენილი ქართულ-ბერძნული წარწერის თანახმად, 1700 წელს წმ. აბრაამის ტაძარი განუახლებია გიორგი აბაშიძეს, მასვე გოლგოთისათვის შეუწირავს შესანიშნავი მინიატურებით დამშვენებული „ოქროს ოთხთავი“, რომელიც ამჟამად დაცულია უფლის საფლავის საგანძურში (ჯაფარიძე 2018: 170-171). გიორგი აბაშიძე რომ ქართული ხელნაწერების გამრავლება-შემკობაზე ზრუნავდა, ეს ჩანს მის მიერ გარეჯის უდაბნოსათვის შეწირული გულანის მინაწერებშიც, სადაც გიორგი აბაშიძე წმ. აბრაამის ტაძრის განახლებაზეც მიუთითებს: „მე ესე წიგნი შევამკე...

იერუსალიმს აბრაამის ტაძრისა ამაგებელმან, პატრიარქისა მრავალჯერ გამგზავნმა და მარგებელმან“ (A კოლექციის აღწერილობა 1976: 314). წმ. აბრაამის ტაძარი ადრეულ წყაროებსა და ლიტერატურაში ქართველთა საკუთრებად არ იხსენიება. აშენების დრო უცნობია, მდებარეობს წმ. საფლავის აღმოსავლეთით და ამჟამად ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოს. ჩიკოიძის წარწერა, რომელიც გ. ავალიშვილმა ნახა, განადგურებულია (ქართული ქრისტიანული თემი... 2022: 17-19).

იმერეთის სამეფოს მესვეურთა დაინტერესება უცხოეთში, მათ შორის იერუსალიმში, არსებული ქართული სიწმინდეების შესანარჩუნებლად, დასტურდება ბერძენი სასულიერო პირების სიმრავლითაც სამეფო კარზე. ამის შესახებ ხშირად მიუთითებენ კათოლიკე მისიონერები თუ რუსი ელჩები (ლამბერტი 1938: 3,118; შარდენი 1975: 199). არქანჯელო ლამბერტის ცნობით, დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი მაქსიმე მაჭუტაძე (1639-1657) მდიდრული შეწირულობით სამჯერ იყო იერუსალიმში (ლამბერტი 1938: 118-119), იქვე აღესრულა და დაიკრძალა (მეტრეველი 1962: 62). ასევე, რუსი დესპანების ცნობით, ქუთაისში უნახავთ ორი ბერი პალესტინიდან და ათონის მთის მონასტრიდან, რომლებიც სამონასტრო გადასახადების ასაკრეფად ყოფილან ჩამოსული (იევლევი... 1969: 141).

1685 წელს ქართველთა ფინანსური დახმარებით და დოსითეოს II-ის (1669-1707) ძალისხმევით იერუსალიმის ქართული ეკლესია-მონასტრები იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ხელში გადავიდა. თუმცა დოსითეოსის დიპლომატიური განცხადებით, იურიდიულად ისინი კვლავ ქართველთა საკუთრებას წარმოადგენდა. ამიტომ ქართველები თავიანთ თავს მოვალედ თვლიდნენ კვლავ ეზრუნათ იერუსალიმის ქართულ სიწმინდეებზე (მამისთვალიშვილი 2001), მით უფრო, რომ ბერძნულმა საპატრიარქომ ქართული კვალის გაქრობა დაიწყო ეკლესია-მონასტრებში. ამას ადასტურებს მონაზონ მართას დრამატიზმით აღსავსე წერილი (საქართველოს სიძველენი 1920: 36-39) დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს გრიგოლისადმი (გრიგოლ II ლორთქიფანიძე – 1696-1742). ქართველი ხელისუფალნი, მათ შორის იმერეთის სამეფო კარიც, ცდას არ აკლებენ ძველი შეწირულობის განახლებისა თუ ახლის შეწირვით შეინარჩუნოს ქართული კულტურის იერუსალიმური საგანძური, თუნდაც ბერძნული საპატრიარქოს პატრონაჟით. ამის დადასტურებაა XVIII საუკუნის სიგელები. შემორჩენილია ალექსანდრე V-ის (1720-1741; 1741-1746; 1749-1752) ორი სიგელი. პირველის თანახმად, მეფე ქრისტეს საფლავსა და ჯვარის მამას სწირავს სამ კომლ ტეფნაძეებს – ნასყიდას, გოგიას და პაპუნას (ხეც, ფონდი Sd-5239 (პ)), ათავისუფლებს მათ სახელმწიფო გადასახადებისაგან. ეს სიგელი 1760 წელს განუახლებია იმერთა ბატონიშვილს თეიმურაზ მამუკას ძეს (იმერეთის მეფე 1766-1768 წლებში). ამ წელს იმერეთში მოსულა იერუსალიმის პატრიარქის ვექილი ეგზარქოსი სვიმეონ და ბატონიშვილმა მას განუახლა ძველი შეწირულება და ღოდარას შეწირული „სამი კომლი სტეფნაძე ახლა ათ გლეხად განყოფილიყვნენ“; გარდა ამისა, ადრე გაცემული შეწირულობა – ფარცხანაყანევს „სამი გლეხი თედორასძენის“ სამსახური ქრისტეს საფლავისადმი „სოფლის შფოთთაგან“ მოშლილიყო. თუ გავითვალისწინებთ, რომ სოლომონ I-ის (1752-1784) მეფობის პირველ

ათწლეულში ოსმალთა განუწყვეტელ თავდასხმებსა და შინაარეულობას, „სოფლის შფოთისგან“ შექმნილი ვითარებაც გასაგები იქნება. შეწირული გლეხების ბეგარად კომლზე 1 მარჩილი განისაზღვრა, ასევე, შეუწირავთ ოქროს კანდელი ბატონიშვილ მამუკას სულის საოხად (ხეც, ფონდი Sd-5240 (პ)).

იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის (1720-1741; 1741-1746; 1749-1752) კიდევ ერთი სიგელი გაცემულია 1741 წელს. ამ სიგელით მეფემ იერუსალიმს შესწირა მღვიმევის მონასტრის მაცხოვრის ეკლესია და ასევე განაახლა „ძველთაგან შეწირული ოცისთავი“ (ქიმ, ს. 1343 (დ)). მღვიმის მაცხოვრის ეკლესიის შეწირულობა სხვა წყაროებსა და ეკლესიის წარწერებში არ იხსენიება, თუმცა ერთი ცნობით, ალექსანდრე V-ის (1720-1741; 1741-1746; 1749-1752) მიერ მღვიმის შეწირულობის სიგელი ჯვარის მამას ჰქონია და შეწირული გლეხების შესახებ ცნობები იქიდანაა გადმოწერილი (ხუციშვილი 2007: 53-55).

XVIII საუკუნის შუა ხანებში „წმინდა მიწაზე“ ქართული სამონასტრო თემის შენარჩუნებას თავისი ღვაწლი დასდო რაჭის ერისთავების ოჯახმა. ტიმოთე გაბაშვილის ცნობით, რაჭის ერისთავს იერუსალიმში მირქმის დედათა მონასტერი „აუშენებია“ (შეუკეთებია) და სათანადოდ დახმარებია, რის გამოც მისთვის მოსახსენებელი დაუწესებიათ (გაბაშვილი 1956: 81). მონასტრის „მაშენებელი“ (1755 წელს) როსტომ რაჭის ერისთავია. ცნობილია მისი დაპირისპირება სოლომონ I-თან (1752-1784). თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ რაჭის ერისთავი თავისი დროის განათლებული პიროვნება, ეკლესია-მონასტრების მაშენებელი და ქართული კულტურის მოამაგე ყოფილა. მისი ძმა იყო დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი ბესარიონიც (1742-1769) (რეხვიაშვილი 1989: 177-178; 203-204). მირქმის დედათა მონასტერი, იგივე წმ. ანას (საიდნაიას) მონასტერი, მდებარეობს ძველი იერუსალიმის ქრისტიანულ უბანში და ამჟამად იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოს ეკუთვნის. ის ჯერ კიდევ XII-XIII საუკუნეებში იხსენიება. დოსითეოს პატრიარქი მას ქართულ მონასტრად თვლიდა, 1685 წლისათვის დაცარიელებული და ძალიან დაზიანებული ყოფილა (ჯაფარიძე 2018: 114-115; ქართული ქრისტიანული თემი... 2022: 23-24).

იმერეთის სამეფოში არსებული ყმა-მამულის შესახებ ცნობებს გვაწვდის კიდევ ორი სიგელი; სიგელები ჯვარის მამა ათანასეს სახელს უკავშირდება, რომელიც საქართველოში 1788-1804 წლებში მოღვაწეობდა. 1795 წელს ის იმერეთში ყოფილა შეწირულებების გასაახლებლად და მის მიერ გაცემულ საბუთში (ქიმ, ს.43 (დ)). დაწვრილებითაა ჩამოთვლილი იერუსალიმისათვის შეწირული გლეხები სოფელ შუქრუთში – ჩაჩანიძეები და გაფრინდაშვილები; წირქვალში – გურიელები; ზოდში – ბოყოველები, თაბაგრებში – ანდღულაძეები და ჯიქიძეები, წინსოფელში – ჩუბინიძეები და სხვა. აქვეა მითითებული გადასახადებიც.

XIX საუკუნეში, 1819, 1831 და 1834 წლებში, ჩატარდა საქართველოში იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს კუთვნილი ყმა-მამულის აღწერა და იმერეთში, ქუთაისის მაზრაში 106 კომლი, ხოლო შორაპნის მაზრაში – 53 კომლი აღირიცხა (ხუციშვილი 2007: 78-79).

დასკვნა

საისტორიო წყაროების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ უკვე XVI საუკუნის შუა ხანებში ქრისტეს საფლავსა და იერუსალიმის ჯვრის მონასტერს იმერეთის სამეფო კარმა შეწირა „სახელმწიფო სალაროს შემოსავლის ოცისთავი“. მოგვიანებით ჩნდება „საჯვარისმამო საქონებელი“ – საეკლესიო ყმა-მამული საზანოს, ღოდორას, ფარცხანაყანევს... გარდა ამისა, იერუსალიმში ქართველთა უფლებების დასაცავად იმერეთის სამეფო კარი და დიდებულები მიმართავდნენ დიპლომატიურ ნაბიჯებს, ფინანსურ მხარდაჭერას უწევდნენ ქართველ ბერ-მონაზვნებს, მონაწილეობდნენ იერუსალიმში დანგრეულ-დაზიანებული ქართული ტაძრების აღდგენაში და ა.შ., რითაც თავიანთი წვლილი შეიტანეს „წმინდა ქალაქში“ ქართული სამონასტრო თემის დაცვისა და იერუსალიმური ქართული საგანძურის შენარჩუნების ეროვნულ საქმეში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

აბულაძე 1987: აბულაძე ც., ოსმალური სიგელები იერუსალიმის და სინას ქართული კოლონიის ისტორიისათვის. ჟურნალი „მაცნე“ (ისტორიის სერია), 1, თბილისი, 1987.

ავალიშვილი 1967: ავალიშვილი გ., მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო ელ. მეტრეველმა. თბილისი, 1967.

A კოლექციის აღწერილობა 1976: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. ელ. მეტრეველის რედაქციით, ტ I (2). თბილისი, 1976.

იევლევი... 1969: ალ. იევლევისა და ნ ტოლოჩანოვის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა. ტექსტი თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ი. ციწცაძემ. თბილისი, 1969.

გაბაშვილი 1956: გაბაშვილი ტ., მიმოსვლა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა. თბილისი, 1956.

ვახუშტი 1973: ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1973.

თურქული დოკუმენტები 2022: თურქეთის არქივებში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ (რეზიუმირებული კატალოგი). დოკუმენტები მოიძიეს, დაამუშავეს და ქართული რეზიუმეები დაურთეს მ. მახარაძემ, ზ. შაშიკაძემ, ა. კაშიამ. ტ. I, წ. 1, თბილისი, 2022.

ისტორიული დოკუმენტები... 1958: ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770), წ. I. ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ. თბილისი, 1958.

ლამბერტი 1938: ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა. იტალიურიდან თარგმნა ალ. ჭყონიამ. თბილისი, 1938.

მამისთვალიშვილი 2001: მამისთვალიშვილი ელ., ქართლის სამეფოსა და იერუსალიმის საპატრიარქოს ისტორიიდან (მე-17 ს. მე-2 ნახევარი). ქართული დიპლომატია, წელიწდეული, VIII. თბილისი, 2001.

მეტრეველი 1962: მეტრეველი ელ., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის. თბილისი, 1962.
რეხვიაშვილი 1989: რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო (1462-1810). თბილისი, 1989.
სამართლის ძეგლები 1970: ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი, 1970.
საქართველოს სიძველენი 1920: საქართველოს სიძველენი, ტ. I. ე. თაყაიშვილის რედაქციით. თბილისი, 1920.
ფერაძე 1995: ფერაძე გ., უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ. ქართული ეკლესიის ისტორია, ტ. IV. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო გ. ჯაფარიძემ. თბილისი, 1995.
ქათამაძე 2013: ქათამაძე ც., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ურთიერ-თობა იერუსალიმის ქართულ კოლონიასთან (XVI-XVIII სს.). თბილისი, 2013.
ქართული ქრისტიანული თემი... 2022: ქართული ქრისტიანული თემი წმინდა მიწაზე. შეადგინეს გ.გაგოშიძემ, ნ. კვირიკაშვილმა, თ. ცერაძემ, ლ.ხოფერიამ, მ. ჯანჯალიამ. თბილისი, 2022.
ქიმ: ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, სს.43 (დ),1343 (დ).
შარდენი 1975: შარდენი ჟ., მოგზაურობა სპარსეთსა აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ.მგალობლიშვილმა. თბილისი, 1975.
ხეც: კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი Sd-5239 (პ), 5240 (პ), Qd-1447.
ხუციშვილი 2007: ხუციშვილი ნ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში. თბილისი, 2007.
ჯაფარიძე 2018: ჯაფარიძე გ., ქართული სავანეები და სამონასტრო თემი წმინდა მიწაზე XI-XVIII საუკუნეებში (არაბული ნარატიული და დოკუმენტური წყაროების მიხედვით). თბილისი, 2018.
Селезнев 1847: Селезнев М., Руководство к познанию Кавказа, кн. I. СПб ., 1847.
Симский 1904: Симский М., Материалы для истории Иерусалимского патриархии (XVI-XIX в.в.), ППС, XIX, вып. I. СПб., 1904.